


ჰერონის მკვლევარი

პ. თ. თ. ტყეშელაშვილი

2017-11-29



ჯ. რ. რ. ტოლკინი

კრისტოფერ ტოლკინის რედაქცია

ადან დის ილუსტრაციები

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი გომართეძმა

რედაქტორი თამარ ჟურელი
კონსულტანტი ნიკა სამუშია
პროექტის მენეჯერი ანა ნემსიწვერიძე
კორექტორები: მარეს ღარიბაშვილი, ნატალია ჩიმაკაძე
დიზაინერი თეკლა გიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

Originally published in the English language by HarperCollins Publishers Ltd.

under the title The Children of Hurin

© The J R R Tolkien Estate Limited and C R Tolkien 2007

Illustrations © Alan Lee 2007

© გამომცემლობა პალიტრა L, 2017

ყველა უფლება დაცულია

«პორტალი» გამომცემლობა პალიტრა L-ის სერიას, რომელიც ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის საუკეთესო ლიტერატურულ ნიმუშებს გთავაზობთ. ეს არის მკითხველების მიერ შერჩეული წიგნები, ერთგვარი რეკომენდაცია, რომ წაიკითხოთ, ისიამოვნოთ და ტედეპორტირდეთ სხვა სამყაროში. ესაა საჩუქარი – მკითხველს მკითხველისაგან.

* * *

არსებობს შუახმედეთის თქმულებები, რომლებიც «ბეტდების მბრძანებელამდე» გაცილებით ადრე შეიქმნა. ამ წიგნში მოთხრობილი ამბავიც რუხი ნავსადგურის დასავლეთით მდებარე, უძველეს მიწებზე მოხდა – იქ, სადაც ერთ ღროს ხისწვერა დააბიჯებდა. ის მიწები პირველი ეპოქის მიწურულს დიდმა კატაკლიზმებმა ჩაძირა.

ადრეულ დღეთა იმ მონაკვეთში მორგოთს, პირველ ბნელ მეუფეს, ანგბანდის უვრცეს ციხესიმაგრეში, ჩრდილოეთში მდებარე რკინის ჯოჯოხეთში დაევანა; ხოლო ტურინისა და მისი დის, ნიენორის ტრაგედია ანგბანდის შიშის აჩრდილის, ედუთა მიწებისა და მათ საიდუმლო ქაღალტების წინააღმდეგ მორგოთის მიერ წამოწყებული ომის ფონზეა გადმოცემული.

მათი ხანმოკლე და მძიმე ცხოვრება მორგოთის მძუღვარების ქვეშ წარიმართა, რადგან ისინი ჰურიონის შვილები იყვნენ, ადამიანისა, რომელმაც გაბედა, პირისპირ გამოიწვია და შეურაცხყო მორგოთი. ამის გამო მან გლაურუნგი, თავისი უსასტიკესი მსახური, უფროსი, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპის სხეულში ჩაბუდებული ძღვევამოსილი სული, გაგზავნა მათ წინააღმდეგ. სასტიკი ბრძოლებითა და მუდმივი დტოღვით, ტყეებში მარვით, ღვენითა და წინააღმდეგობის განევის უიმედო მცდელობებით აღვსილ ამ ამბავში ბნელი მეუფე და დრაკონი შემზარავი სიცხადით წარმოჩინდებიან. გესრიანი და დამცინავი გლაურუნგი ცდილობს ტურინისა და ნიენორის ბედისწერაზე ეშმაკისებური გაიძვერობითა და სიცრუით მოახდინოს გავლენა, რათა მორგოთის წყევლა აღასრულოს.

ამ ამბის თავდაპირველი ვერსიები ჯ.რ.რ. ტოტინმა მეორე მსოფლიო ომის მიწურულსა და მომდევნო წლებში დაწერა; თუმცა დიდი ხანი გავიდა და, «ბეჭდების მბრძანებლის» დასრულების შემდგომ, იგი თავიდან გადაწერა და ნიშანდობრივად განავრცო სიუჟეტებითა და პერსონაჟებით: იგი იქცა შუახმედეთის შესახებ მის მიერ მოგვიანებით შექმნილ უმთავრეს ამბად, თუმცა დასრულება და მისთვის საბოლოო სახის მიცემა მან ვერ შეძლო. ხედნაწერთა ხანგრძლივი შესწავლის შემდგომ შევეცადე, თანამიმდევრული თხზულება, ყოველგვარი განვრცობისა და გარეშე, მოცემული წიგნის სახით შემეკრა.

კრისტოფერ ტოტინი

ჯ.რ.რ. ტოტინის შვილი

წინასიტყვაობა

ვერ უარვყოფთ, რომ «ბეჭდების მბრძანებლის» მრავალი მკითხველისთვის, «ადრეულ ღელთა დეგენდების» შესახებ (რაც «სიღმარეოების», «დაუსრულებელი ამბების» და «შუახმედეთის ისტორიის» სახით გამოქვეყნდა) ბევრი რამ უცნობია, რადგან უჩვეულო და საკითხავად მეტად რთული ტექსტების სახელი დაიგმო.

თუმცა ვფიქრობ, მომწიფდა დრო, წარმოვადგინო «ჰურინის^[1] შვილების» დეგენდის გრძელი ვერსია, როგორც დამოუკიდებელი ნაშრომი შესავლით, ცარკველი შესწორებებითა და ძირითადი, განგრძობითი თხრობით, ძირეული ხარვეზებისა და წყვეტების გარეშე და, თუ მოხერხდა, ტექსტის სახეცვლილებებისა და ჩამატებებისგან თავის არიდებით, ნაწარმოების იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც მამაჩემს დაუმთავრებელი დარჩა.

ვიფიქრე, თუ ამბავი ტურინის^[2] და ნიენორისა^[3] — ჰურინის შვილების — და მორუენის^[4] ბედისა ამ სახით იქნებოდა მოთხრობილი, შესაძლებლობა მოგვეცემოდა, სარკმელი გაგვეხსნა გარდასულ საუკუნეთა შუახმედეთში, დურჯი მთების^[5] გადაღმა მდებარე იმ მიწებზე, სადაც ჯერ კიდევ ახადგაზრდობის ჟამს ხისწვერა დააბიჯებდა, სადაც ღორ-ღომინში^[6] ტურინ ტურამბარი^[7] ცხოვრობდა, ხოლო შორეული მიწების გადაღმა ღორიათისა^[8] და ნარგოთონდის^[9] ქადაქები და ბრეთირის^[10] ტყე მდებარეობდა.

ეს წიგნი უპირველესად იმ მკითხველისთვის დაიწერა, რომელსაც კარგად ახსოვს, თუ როგორ იმადებოდა ბაბაჯუა მიწის სიღრმეებში, ხოლო «მისი ძღვევა ადამიანთა ძაღვს აღემატებოდა. თვით ბერენსა^[11] და ტურინსაც არ შესწევდათ ძალა, ედუთა ან ჯუჯათა ნაჭელი მახვილიც რომ სჭეროდათ ხელში» — დაპარაკი სწორედ შუავეგში, ფროდოსთან საუბრისას, ედრონდის მიერ ნახსენებ ტურინზეა — მიუხედავად იმისა, რომ იგი «ერთ-ერთი ძღვეამოსილი ედუთა მეგობარი» იყო, — როგორც ედრონდი უწოდებდა, თუმცა მასზე მეტი აღარაფერი ყოფილა მოთხრობილი.

როდესაც მამაჩემი ახადგაზრდა გახდდა, — პირველი მსოფლიო ომის დროს და უფრო ადრეც, ვიდრე «ჰობიტის» ან «ბეჭდების მბრძანებლის» რაიმე ჩანასახი შეიქმნებოდა, — მან დაიწყო სხვადასხვა მცირე ისტორიის შეთხზვა, რომელსაც «დაკარგული ამბების წიგნი» უწოდა. ეს იყო მისი პირველი ნამუშევარი საკუთარი გამოგონილი სამყაროს შესახებ და ასევე მთლიანი შემოქმედების არსებითი საწყისიც. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი დაუსრულებელი დარჩა, ჩვენ მაინც

გვაქვს თოთხმეტი დასრულებული მოთხრობა. სწორედ «დაკარგული ამბების წიგნში» გვხვდებიან პირველად ღმერთები, ანუ ვადარები, ასევე ეღუპები და ადამიანები, როგორც იღუვატარის^[12] (შემოქმედის) შვილები. მეღკორი^[13], იგივე მორგოთი^[14] – დიდი მტერი; ბადროგები და ორკები; და ის მიწები, რომეღმედაც თქმულებები მოგვითხრობს, – ვადინორი^[15] «ღმერთების მიწა» დასავლეთის ოკეანის მიღმა და «დიდი მიწები» (შემდგომში «შუახმედეთად» წოდებული), დასავლეთ და აღმოსავლეთ ოკეანეებს შორის.

«დაკარგულ ამბებს» შორის გვხვდება სამი ყველაზე სრულქმნილი და ვრცელი მოთხრობა, რომეღიც დაკავშირებულია ეღუებთან და ადამიანებთან. ესენია: «თქმულება ტინუვიღზე» (რაც მცირე სახით წარმოდგენილია «ბეჭდების მბრძანებელში», როგორც ამბავი ბერენსა და ღუთიენზე^[16], რომეღიც არაგორნმა ავღარწვეროზე ჰობიტებს უამბო; მამაჩემმა ის 1917 წელს დაწერა), «ტურამბარი და ფოადოკე» (ტურინ ტურამბარსა და ღრაკონზე, 1919 წელს დაწერილი, თუ მანამდე არა.) და «გონდოლინის^[17] დაცემა» (1916-17). 1951 წელს, «ბეჭდების მბრძანებლის» გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე დაწერილ, ერთ-ერთ საკმაოდ ვრცელ წერილში მამაჩემი საუბრობს საკუთარ შემოქმედებით ჩანაფიქრზე: «თავდაპირველად, იდეაში მსურდა (თუმცა დიდი ხანია, იმედი გადამეწერა) შემექმნა რეგენდის მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ერთიანი სხეული – ფართო, კოსმოგონიური ამბებით დაწყებული და რომანტიკული, ზღაპრული ისტორიებით დამთავრებული; უფრო ფართო და მასშტაბური, დაფუძნებული შედარებით მცირეზე და, იმავდროულად, ორთავე დაკავშირებული სიცოცხლით სავსე ხმედეთთან. «მცირე» – როგორც უკიდვგანო კუდისებრიდან ბრწყინვალედ შესრულებული სცენარი. მსურდა, რამდენიმე ამბის სრულყოფილად შეთხზვა და, იმავდროულად, ბევრი სხვა რამის მონახაზებსა და ჩანახატებში ჩასმა».

ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ ადრევე არსებობდა ერთგვარი კონცეფცია, რომეღიც მოგვიანებით იქცა «სიღმარეიონის», როგორც ჩანაფიქრში არსებული ყველაზე ვრცელი ნაწარმოების, დაწერის მთავარ მოტივად; და ზუსტად 1951 წლით დათარიღებულ იმავე წერილში, იგი თავადნათივ მიუთითებს იმ სამ ამბავზე, რომეღიც ზემოთ უკვე ვახსენე, როგორც ყველაზე ვრცელი ამბები «დაკარგული ამბების წიგნში».

ის საუბრობს თქმულებაზე ბერენისა და ღუთიენის შესახებ, როგორც «სიღმარეიონის» უმთავრეს თავზე, და ამბობს: «ეს ამბავი (ვფიქრობ, ძლიერი და წარმტაცი) არის ერთდროულად საგმიროც, ზღაპრულიცა და რომანტიკულიც. მიუხედავად იმისა, რომ მასში მხოლოდ ბუნდოვნად არის წარმორჩენილი მთლიანი ფონი, მაინც ფუნდამენტურ რგოლს წარმოადგენს ამბავთა ჯაჭვში, რომლის რგოლები ჯერ კიდევ ბოლომდე არ დაჰკავშირებია ერთმანეთს». «კიდევ არსებობს სხვა ისტორიები, რომელებიც თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანნი არიან – განაგრძობდა იგი, – და თანაბრად თვითმყოფადნი, თუმცა კი მტკიცედ დაკავშირებულნი უმთავრეს ამბავთან». ესენი არიან: «ჰურიონის შვილები» და «გონდოლინის დაცემა».

მამაჩემის სიტყვებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ თუ ის მივიღოდა ფინიშამდე და ყველა მოთხრობას ერთიან სივრცეში მოაქცევდა, ისე როგორც ეს თავად სურდა, მაშინ ადრეულ დღეთა სამი ყველაზე დიდი მოთხრობა («ბერენი და ღუთიენი», «ჰურიონის შვილები» და «გონდოლინის დაცემა») უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ გასრულებული და თვითმყოფადი და არა მხოლოდ რიგითი შემადგენელი ნაწილი იმ მთლიანი სხეულისა,